

# სოფლის დახმარების პროგრამა საქართველოში (მონიტორინგის შედეგები)



# სოფლის დახმარების პროგრამა საქართველოში (მონიტორინგის შედეგები)

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა შვედეთის საერთაშორისო თანამშრომლობის და განვითარების სააგენტოს და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის დახმარებით განხორციელა პროექტი „სოფლის დახმარების პროგრამაში“ საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა“, რომლის მიზანია სოფლის დახმარების პროგრამის მიზნობრიობისა და ეფექტურობის შეფასება და მედიისა და მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფა აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში. ანგარიშში წარმოდგენილი შეხედულებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს შვედეთის საერთაშორისო თანამშრომლობის და განვითარების სააგენტოს და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის შეხედულებებს.



# სარჩევნი

შესავალი.....	5
<b>I</b> მონიტორინგის ძირითადი მიგნებები .....	7
<b>II</b> მონიტორინგის შედეგად გამოკვეთილი ტენდენციები .....	9
<b>III</b> სოფლის დახმარების პროგრამის პრიორიტეტები .....	14
რეგიონების მიხედვით პრიორიტეტული თემები .....	14
ქვემო ქართლი .....	15
სამცხე-ჯავახეთი .....	15
კახეთი .....	16
იმერეთი .....	16
<b>IV</b> სოფლის მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები .....	17
<b>V</b> დასკვნები და რეკომენდაციები .....	27



## შესავალი

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის დახმარებით 2010 წლის ოქტომბრიდან დაიწყო პროექტის „სოფლის დახმარების პროგრამაში საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობის“ განხორციელება, რომლის მიზანია იყო სოფლის დახმარების პროგრამის მიზნობრიობისა და ეფექტურობის შეფასება და მედიისა და მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფა სოფლის დახმარების პროგრამის განხორციელებაში.

სოფლის დახმარების პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა და პარტნიორმა ჟურნალისტებმა 2010 წლის ოქტომბრიდან 2011 წლის მაისამდე პერიოდში პროგრამის მონიტორინგი და სოფლის მაცხოვრებელთა გამოკითხვა ჩაატარეს. ეს პროცესი განხორციელდა საქართველოს 5 რეგიონში – 50 სოფელში. კერძოდ: იმერეთის რეგიონი – 10 სოფელი; ქვემო ქართლის რეგიონი – 11 სოფელი; სამცხე-ჯავახეთის რეგიონი – 10 სოფელი; კახეთის რეგიონი – 10 სოფელი; აჭარის რეგიონი – 9 სოფელი.

მონიტორინგის მიზანი იყო გარკვეულიყო, აკმაყოფილებს თუ არა სოფლის დახმარების პროგრამა კანონითა და მთავრობის შესაბამისი ბრძანებულებებით განსაზღვრულ მიზნებს და პირობებს და რამდენად ეფექტურად და მიზნობრივად იხარჯება სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები.

სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული პოლიტიკის თანახმად, სოფლის დახმარების პროგრამა მიზნად ისახავს სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების დაფინანსებას – ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაციას, კეთილმონყოფის სამუშაოების ჩატარებას და სხვა. პროგრამის მიზანია ამ პროცესში მოქალაქეების ჩართულობის მხარდაჭერა.

პროგრამის განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა თავდაპირველად ნაწილდება შემდეგნაირად:

- ა) არაუმეტეს 50 სულიანი სოფელი – 2000 ლარი;
- ბ) 51-დან 200 სულამდე სოფელი – 4000 ლარი;
- გ) 201-დან 400 სულამდე სოფელი – 5000 ლარი;
- დ) 401-დან 1000 სულამდე სოფელი – 8000 ლარი;
- ე) 1000-ზე მეტსულიანი სოფელი – 12000 ლარი.

თუ პროგრამის ამ წესით გაანგარიშების შემდეგ თანხა დარჩა, მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებზე თანხა უნდა გადანაწილდეს თანაბრად, ასევე სულადობის შესაბამისად.

სოფლის დახმარების პროგრამით გამოყოფილი თანხის ხარჯვის მიზნობრიობა უნდა განისაზღვროს მხოლოდ სოფლის მოსახლეობასთან კონსულტაციის შედეგად;

წინასწარი კონსულტაციის გამართვაზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი – გამგეობის რწმუნებული; რწმუნებულმა უნდა ჩაატაროს მოსახლეობის გამოკითხვა, ან ორგანიზება გაუწიოს სოფლის კრების მოწვევას, მოაწიოს საჯარო განხილვა და ამ გზით შეათანხმოს თანხის ხარჯვის მიზანი მოსახლეობასთან; მოსახლეობასთან შეთანხმებულ წინადადებებს რწმუნებული წარუდგენს შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგეობას.

სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში შესრულებული სამუშაო მიმართული უნდა იყოს მხოლოდ საჯარო სარგებლობის ობიექტისთვის. ამ ობიექტით სარგებლობის საშუალება უნდა ჰქონდეს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას;

შესრულებული სამუშაოს შედეგი დროში ხანგრძლივად უნდა შენარჩუნდეს – მას არ უნდა ჰქონდეს ერთჯერადი დახმარების სახე;

სამუშაოს შესრულების დროს მაქსიმალურად უნდა დასაქმდეს სოფლის მოსახლეობა;

საერთო ინტერესების გათვალისწინებით, დასაშვებია რამდენიმე სოფელმა თანხა გააერთიანოს ერთი საერთო პრობლემის მოსაგვარებლად – მაგალითად, წყალსადენის სათაო ნაგებობის ან საწინააღმდეგო სისტემის განმეორება-რეაბილიტაცია ან ა.შ. თანხის მიზნობრივად გამოყენებაზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის გამგეობა.

ადგილებზე შეხვედრებისა და გამოკითხვის მიხედვით, პროექტის განხორციელების შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი დასკვნა.



## I მონიტორინგის ძირითადი მიზნები:

1. სოფლის დახმარების პროგრამის შესრულებაში ჩართულ ადამიანთა საშუალო მაჩვენებელმა დაახლოებით სოფლის მოსახლეობის 21-35 პროცენტი შეადგინა. სოფლების ნაწილში პრიორიტეტები განისაზღვრა ძირითადად გამგეობისა და ადამიანთა მცირე ჯგუფის მიერ. ამგვარი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა გამოკითხვა, რომელიც ეკონომიური პოლიტიკის კვლევის ცენტრის ჟურნალისტებმა ჩაატარეს და ასევე მონიტორინგი, რომელიც 50 სოფელში ადგილზე განხორციელდა. (იხილეთ ქვემოთ გამოკითხვის შედეგები და პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებული სტატიები ვებ-გვერდზე [www.eprc.ge](http://www.eprc.ge)).
2. მოსახლეობის დიდი ნაწილი არ არის ინფორმირებული საკუთარ როლსა და უფლებებზე სოფლის დახმარების პროგრამასთან დაკავშირებით. ისინი ხშირ შემთხვევაში პასიურები არიან და არ იყენებენ საკუთარ უფლებებს;
3. მიუხედავად პასიურობისა, გამოკითხული სოფლის მოსახლეობის თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა (გამოკითხულთა 88 პროცენტი) თვლის, რომ პროგრამა უნდა გაგრძელდეს.
4. სოფლის დახმარების პროგრამის პრიორიტეტების განსაზღვრის ეტაპზე, მიუხედავად მოსახლეობის მონაწილეობის ხარისხისა, გამოიკვეთა არარეალისტური დაგეგმვის პროექტიკა. ხშირად საკმაოდ შეზღუდული თანხებით ისახება რამდენიმე პრიორიტეტი, შედეგად კი ვერც ერთის შესრულება ვერ ხერხდება;
5. ბუნდოვანია თანხების ხარჯვაზე კონტროლის მექანიზმი. სოფლების უმეტესობაში არ არის შექმნილი საინიციატივო ჯგუფები და მოსახლეობას კითხვები უჩნდება ხარჯვის მიზნობრიობასთან დაკავშირებით;
6. განხორციელებული სამუშაოების შინაარსის მიხედვით პირველ ადგილზე დგას გზების რეაბილიტაციის საკითხი. მონიტორინგმა აჩვენა, რომ სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხების შეზღუდული მასშტაბი უმეტეს შემთხვევაში არ იძლევა გზების რეალურად რეაბილიტაციის საშუალებას და ამ სამუშაოებს შემოფარგლავს გზების მოხრეშვით ან ორმოების ხრეშით ამოვსებით. შედეგად, მას არ აქვს ხანგრძლივი ეფექტი, რაც სოფლის დახმარების პროგრამის ერთ-ერთი მიზანია. რიგ სოფლებში 2009 წელს მოხრეშილი გზის უბნები 2010 წელს უკვე ჩარეცხილი და თავიდან მოსახრეში იყო;

7. სოფლის დახმარების პროგრამის პრიორიტეტების ანალიზმა, 50 სოფლის მიხედვით, აჩვენა, რომ დღეისთვის სოფლებში ყველაზე პრობლემურია შიდა სასოფლო გზებისა და წყლის საკითხები. ამ პრიორიტეტებმა სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში შერჩეულ პრიორიტეტებს შორის პირველი ადგილები დაიკავა. თუმცა, ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში იმის გამო, რომ ეს პრიორიტეტები დიდ დაფინანსებას მოითხოვენ, სოფლებში მიღებულ იქნა გადანაცვეტილება დაფინანსებულიყო უფრო ვიწრო სფეროს ხარჯები – სარიტუალო სახლის რემონტი, ან სარიტუალო ინვენტარის შექმნა, სოფლის სასაფლაოს შემოღობვა და სხვ. შესაბამისად – სარიტუალო თემას პრიორიტეტებში მესამე ადგილი უკავია.
8. მონიტორინგმა აჩვენა, რომ ხშირად დარღვეულია სოფლის დახმარების პროგრამის დეკლარირებული პრინციპები. მაგალითად ის, რომ შესრულებული სამუშაოს შედეგი დროში ხანგრძლივად უნდა შენარჩუნდეს – მას არ უნდა ჰქონდეს ერთჯერადი დახმარების სახე; სამუშაოს შესრულების დროს მაქსიმალურად უნდა დასაქმდეს სოფლის მოსახლეობა. და ა.შ. (დეტალები იხილეთ გამოკვეთილ ტენდენციებში).

## II მონიტორინგის შედეგად გამოკვეთილი ტენდენციები:

50 სოფელში ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის წარმომადგენლების ვიზიტისა და მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად სოფლის დახმარების პროგრამის განხორციელებაში გამოიკვეთა შემდეგი პრობლემური ტენდენციები:

### 1. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის და ჟურნალისტების მიერ განხორციელებული მონიტორინგის სამიზნე რამდენიმე სოფელში დეკლარირებული სამუშაოები საერთოდ არ არის შესრულებული. მაგალითად:

- ▶ ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის მონაცემებით, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვებაში სოფლის დახმარების პროგრამით 2010 წელს ორი პროექტი განხორციელდა: გაიწმინდა სარწყავი არხები და გაკეთდა სკვერი და მემორიალი.

მონიტორინგმა აჩვენა, რომ არხები მართლაც გაწმენდილია, თუმცა სკვერი და მემორიალი სოფელში გაკეთებული საერთოდ არ არის.

ამასთან, სოფელში კრებაც არ ჩატარებულა პრიორიტეტების განსასაზღვრად;

### 2. მნიშვნელოვანი პრობლემაა სამუშაოების დაუსრულებლობა. ხშირ შემთხვევებში სოფელში ხდება რამდენიმე პრიორიტეტის შერჩევა და ყველა მათგანზე სამუშაოები დაუსრულებელი რჩება. ეს, როგორც წესი, არარეალისტური დაგეგმვის ნიშანია. მაგალითად:

- ▶ კახეთის რეგიონის სოფელ ჭანდარში 2010 წელს 30 970 ლარით განისაზღვრა 5 პრიორიტეტის დაფინანსება. სამუშაოების მხოლოდ 20 პროცენტია შესრულებული. ამასთან – სოფლის კრება არ ჩატარებულა;
- ▶ კახეთის რეგიონის სოფელ ველისციხეში 2010-2011 წლებში სოფლის დახმარების პროგრამიდან 39 896 ლარი დაიხარჯა ოთხკაბინიანი სოფლის აბანოს მშენებლობისთვის. აბანო კვლავ არ არის დასრულებული. მოსახლეობას ხარჯვის მიზნობრიობასთან დაკავშირებით აქვს კითხვები.
- ▶ იმერეთის რეგიონის სოფელ მალლაკში 2010 წელს 62 000 ლარი გამოიყო, რომლითაც ორი პრიორიტეტის დაფინანსება გადაწყდა: ბალის რეაბილიტაცია და მინაეთერის უბნისთვის წყლის მილების შექმნა. ორივე სამუშაო ნაწილობრივ არის შესრულებული;

- ▶ აჭარის რეგიონის სოფელ ზესოფელში (ქედის რაიონი) სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში დაიხარჯა 7 122 ლარი. პრიორიტეტად განისაზღვრა სკოლის რემონტი (რადგან წყლის გაყვანის სამუშაოებს და სხვა პრობლემების მოგვარებას თანხა მანც არ ჰყოფნიდა). პრიორიტეტი კრებაზე იქნა შერჩეული. სოფელში დაიწყო სკოლის რემონტი, თუმცა ბოლომდე ვერ მიიყვანეს. სკოლას არ აქვს სველი ნერტილები და საპირფარეშო. ამის მიუხედავად, ქედის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცემულ ბუკლეტში აღნიშნულია, რომ სარემონტო სამუშაოები დასრულებულია.
- ▶ სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სოფელ დიდი სმადაში, (ადიგენის მუნიციპალიტეტი) 2010 წელს სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში გამოიყო 11 332 ლარი. თანხა რიტუალების სახლის რემონტზე დაიხარჯა. სამუშაოები დასრულებული არ არის არც რიტუალების სახლში. ამასთან, არც 2009 წელს დაწყებული სარწყავ-საგუბარის სამშენებლო სამუშაოებია დასრულებული.

### **3. პრობლემაა სამუშაოების ხარისხი. მაგალითად:**

- ▶ ქობულეთის რაიონის სოფელ ავისთავისთვის 2010 წელს გამოყოფილი 24000 ლარი დაიხარჯა სოფლის კლუბის რემონტისთვის. მონიტორინგმა აჩვენა, რომ სოფლის კლუბში სახურავიდან დღესაც წყალი ჩამოდის, კლუბში კი კვლავ დამტვრეული ინვენტარი დგას.
- ▶ აჭარის რეგიონში, სოფელ ახალშენს – 2010 წელს გამოიყო 31 800 ლარი. გადაწყვეტილება გზის რეაბილიტაციის შესახებ კრებაზე იქნა მიღებული. ამ თანხით ადგილობრივი არჩევნების წინ – 2010 წლის მაისში ერთი ფენა ასფალტი გადაიგო გზაზე. გზის საბოლოოდ დასრულება (რამდენიმე ფენის გადაგება და გზის სარეაბილიტაციო სტანდარტებით დასრულება) არ მომხდარა.

### **4. გვხვდება შემთხვევები, როცა სოფლის დახმარების ფული დაიხარჯა არა უშუალოდ ამ სოფლის, არამედ მეზობელი სოფლის პრიორიტეტის დასაფინანსებლად ან – საერთო-სახელმწიფოებრივი თუ რაიონული დანიშნულების პრობლემის გადასაწყვეტად. მაგალითად:**

- ▶ კახეთის რეგიონის, სოფელ ჭანდარში 5 პრიორიტეტიდან ერთ-ერთი – სასაფლაოს შემოღობვა განხორციელდა, თუმცა, სოფლის მოსახლეობის განცხადებით, სოფელ ჭანდარის თანხებიდან 4924 ლარი სასაფლაოს იმ ნაწილის შემოსაღობად დაიხარჯა, რომელიც მეზობელ სოფელ გურჯაანს ეკუთვნის. ამასთან – სოფელ გურჯაანის

სოფლის დახმარების პროგრამის ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი 50 000 ლარის ნაწილი სოფლის ორი სასაფლაოს შემოსაღობად დაიხარჯა;

- ▶ ქვემო ქართლის რეგიონის სოფელ ქესალოში სოფლის დახმარების პროგრამის 72752 ლარი მთლიანად სოფლის გასწვრივ მდებარე ცენტრალური გზის გარე განათების გასაკეთებლად დაიხარჯა.

**5. მნიშვნელოვანი გადაცდომაა ის, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სოფლის დახმარების პროგრამით დაფინანსდა სამუშაოები, რომლის დაფინანსება კერძო კომპანიას უკვე ჰქონდა ნაკისრი სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულებით. კერძოდ:**

- ▶ აჭარის რაიონის სოფლებისთვის მეჯინისწყალი, ზანაქიძეები, მახვილაური, შავლიძეები, შარაბიძეები და ვარშალომიძეები (სულ 7 სოფელი) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტმა სოფლის მეურნეობის დახმარების თანხების და სხვა საბიუჯეტო თანადაფინანსების სახით 130 000 ლარი გამოყო და თავადაც დახარჯა – ბუნებრივი აირის ქსელის მისაყვანად.
- ▶ იმავე აჭარაში – სოფელი ჩელტა ხელვაჩაურის რაიონში სოფელი წინსვლის დანამატად განიხილება. ამ ორ სოფელში დაახლოებით 900 კომლი ცხოვრობს. სოფლის დახმარების პროგრამით 2010 წელს (და 2011 წელსაც) გამოყოფილი თანხაა 39 000 ლარი. გასულ წელს ეს თანხა სრულად გაზის მილების შესაძენად დაიხარჯა. 2011 წელს თანხები სოფლებს შორის გაყვეს (ერთ სულზე – 12 ლარი). სოფელმა წინსვლამ კვლავ გაზის სამუშაოები აირჩია პრიორიტეტად.

აღსანიშნავია, რომ ყველა ამ შემთხვევაში განხორციელებული სამუშაოები პასუხობდა სოფლის მოსახლეობის მოთხოვნებს, თუმცა:

საინტერესოა, რომ აჭარის რეგიონის გაზიფიცირების ვალდებულება კერძო კომპანია სოკარ-გაზს აქვს აღებული 2012-2013 წლამდე. სამუშაოების დაჩქარების მოტივით, სოფლის დახმარების თანხები, პრაქტიკულად, კერძო კომპანიის ვალდებულებების დასაფარად დაიხარჯა. ეს კი არა მხოლოდ სოფლის დახმარების პროგრამის პრინციპს ეწინააღმდეგება, არამედ – პრაქტიკულად სოკარის სამუშაოების სუბსიდირებას წარმოადგენს ბიუჯეტიდან, რაც ბიუჯეტის შესახებ კანონის დარღვევას წარმოადგენს.

**6. მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ განხორციელებული სამუშაოების ნაწილი არ აკმაყოფილებს სოფლის დახმარების პროგრამის ისეთ მოთხოვნას, როგორცაა მისი**

დროში განგრძობითობა, ანუ – არ არის გათვლილი ხანგრძლივ ეფექტზე. ეს განსაკუთრებით ეხება გზის სამუშაოებს, რომლებიც ძირითადად გზების ერთჯერადი ზედაპირული მოხრეშვით შემოიფარგლება, კერძოდ:

- ▶ იმერეთის სოფელ მაისოურისთვის 2010 წლის ბიუჯეტიდან 3500 ლარი გამოიყო. 700 ლარი – ორი სოფლის დამაკავშირებელი ხიდისთვის დაიხარჯა; 2800 ლარი – გზის მოხრეშისთვის; სოფელში საერთო კრება არ ჩატარებულა, თუმცა მოსახლეობა პრიორიტეტზე არ დაობს. პრობლემა კი კვლავ დარჩა – გზის მოხრეშის მონაკვეთები უკვე ჩარეცხილია. მოსახლეობა გზის კაპიტალურ შეკეთებას ითხოვს.

**7. მონიტორინგმა აჩვენა ისიც, რომ ზოგ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ კრება ფორმალურად ჩატარებულია, მასზე მოსახლეობას უბრალოდ აცნობეს დასაფინანსებელი პრიორიტეტის შესახებ. ან – კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, თუმცა დაფინანსებულ იქნა სხვა პრიორიტეტი. მაგალითად:**

- ▶ აჭარის რეგიონში, სოფელ ქვედა ჯოჭოში 2010 წელს გამოიყო 21000 ლარი – თანხა დაიხარჯა გზის რეაბილიტაციისთვის. კრება შეიკრიბა, თუმცა კრების მონაწილეებს ხელმძღვანელობამ უბრალოდ აცნობა, რომ ამ თანხით გზის შეკეთებას აპირებდნენ. ჟურნალისტის იქ ყოფნის პერიოდში სამუშაოები დაწყებული იყო, თუმცა 7 თვის შეჩერებული.
- ▶ აჭარაშივე სოფელი ზვარე 40 კომლიანი დასახლებაა. 2010 და 2011 წლებში სოფელს 7000 – 7000 ლარის ფარგლებში თანხა გამოეყო. 2010 წელს გზები მოიხრეშა. 2011 წელს თანხა დაიხარჯება სარწყავი არხებისთვის.

ქედის მუნიციპალიტეტს ასევე სარწყავი არხებისთვის აქვს გამოცხადებული ტენდერი 114 ათას ლარზე. ეს ნიშნავს, რომ სოფლის დახმარების პროგრამის თანხები უბრალოდ დაემატება იმ პრიორიტეტის დასაფინანსებელ თანხებს, რომელიც რეგიონის მუნიციპალიტეტს ჰქონდა განსაზღვრული. სოფლის მოსახლეობამ ჟურნალისტს განუცხადა, რომ სოფლის კრებაზე იყო საუბარი, რომ ე.წ. სეფის გადასახური ბრეზენტი და სარიტუალო მომსახურების ატრიბუტიკა (მაგიდები, სკამები და ჭურჭელი) შეძენილიყო ამ ფულით. თუმცა, გადაწყვეტილება მაინც სარწყავ არხებზე იქნა შეჩერებული, რომლის გაკეთებასაც ეს თანხა არ ჰყოფნის.

**8. მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ ზოგ შემთხვევაში მოსახლეობა სოფელში განხორციელებული სამუშაოების შესახებ ინფორმაციას ფლობს, თუმცა არ იცის რა სამუშაო რომელი პროგრამის ფარგლებში განხორციელდა. მაგალითად:**

▶ სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სოფელ ახალდაბაში 2010 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 31 251 ლარი გამოიყო. მოსახლეობა შეადგენს 646 ოჯახს. სოფელში ჩასულ ჟურნალისტთან საუბარში მოსახლეობას სხვადასხვა ვერსია ჰქონდა გაკეთებულ სამუშაოებთან დაკავშირებით: ზოგმა თქვა რომ ნაწილობრივ შეკეთდა სასმელი წყლის სათაო ნაგებობა; ზოგი ამბობს, რომ ეკლესია შემოიღობა;

სოფელ ახალდაბას ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულის ინფორმაციით კი სოფლის დამხარების პროგრამის ფარგლებში ახალდაბაში ხელოვნურსაფარიანი მოედანი გაკეთდა.

▶ იმავე სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, სოფელმა იდუმალამ, (ასპინძის მუნიციპალიტეტი) 2010 წელს 13 ათასი ლარამდე მიიღო და ამ თანხით რიტუალების სახლს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა და ჭურჭელი შეიძინეს. სამუშაო შესრულებულია, თუმცა სოფელში გამოკითხულმა მოსახლეობამ არ იცის, რომელი სამუშაო რა პროგრამით შესრულდა.

**9. მონიტორინგმა აჩვენა, რომ ხშირად არ არის დაცული სოფლის დახმარების პროგრამის ისეთი პირობა, როგორცაა სოფლად განსახორციელებელ სამუშაოებში უშუალოდ სოფლის მოსახლეობის ჩართვა. მაგალითად:**

▶ იმერეთის რეგიონის სოფელი ყუმურისთვის (ვანის რაიონი) 2010 წლის ბიუჯეტიდან 13000 ლარი გამოიყო.

5000 ლარი – სოფლის ცენტრში მინი-მოედნის შემოღობისთვის დაიხარჯა;

8000 ლარი – სოფლის შესასვლელიდან ცენტრამდე 2 კილომეტრიანი გზის მონაკვეთების მოხრეშვისთვის.


სამუშაოებს რაიონიდან გამოყოფილი მუშა ჯგუფი ასრულებდა, რასაც სოფლის მოსახლეობა უარყოფითად აფასებს.

▶ იმავე იმერეთის რეგიონი – სოფელი ქვიტირისთვის (ვანის რაიონი) 2010 წელს გამოყოფილი იყო 52000 ლარი (ზედა მესხეთისა და ქვიტირისთვის ერთად). აქედან, 22000 ლარი – დაიხარჯა ქვიტირის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოს შემოღობვაზე; 10000 ლარი – ქვედა ქვიტირზე გამავალი მაგისტრალური წყლის მილიდან წყლის ამოტუმბვისთვის; 20 000 ლარი – ზედა მესხეთში ყოფილი კლუბის შენობის სახურავის შეცვლას მოხმარდა;

სამუშაოები ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიებმა განახორციელეს, რაშიც არ იყო ჩართული სოფლის მოსახლეობა.


### III სოფლის დახმარების პროგრამის პრიორიტეტები

მონიტორინგს დაქვემდებარებული 50 სოფლის (5 რეგიონი) პრიორიტეტების ანალიზმა სოფლად საჭიროებათა მთელი წუსხა გამოკვეთა. ამასთან, თითოეულ სოფელში სამუშაოები ერთი ან რამდენიმე პრიორიტეტის მიხედვით განისაზღვრა. ამიტომ პრიორიტეტების რაოდენობა მეტია სოფლების საერთო რაოდენობაზე. ეს სტატისტიკა იძლევა წარმოდგენას იმაზე, თუ რა პრობლემები აწუხებს პირველ რიგში სოფლის მოსახლეობას და რისი გადაწყვეტის მცდელობაა სოფლის დახმარების პროგრამა. პრიორიტეტების სტატისტიკა ასეთია:



#### რეგიონების მიხედვით პრიორიტეტული თემები:

აჭარაში, ისევე როგორც მთელი საქართველოს მასშტაბით, პრიორიტეტები არაერთგვაროვანია. აქ გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები მინც ქარბობს. გზის რეაბილიტაცია, როგორც წესი, გამოიხატება გზების მოხრეშვით. 9 სოფლის მიხედვით პრიორიტეტები ასე გადანაწილდა:




ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ აჭარაში პრიორიტეტების მეორე ადგილზე (მონიტორინგს დაქვემდებარებული 3 სოფელი) არის ბუნებრივი აირის სოფლებამდე მიყვანის მაჩვენებელი. ხშირ შემთხვევაში, ეს ემთხვეოდა სოფლის მოსახლეობის ინტერესებს და, რადგან თანხები არასაკმარისი იყო, რეგიონული ბიუჯეტებიდან მოხდა მათი თანადაფინანსება, თუმცა, ამით, პრაქტიკულად, კერძო კომპანიის ხარჯების დაფინანსება მოხდა. (დეტალები იხილეთ გამოკვეთილ ტენდენციებში).



## ქვემო ქართლი

ქვემო ქართლში მონიტორინგის ქვეშ მყოფი 11 სოფლიდან თანაბრად პოპულარული იყო გზებისა და სარიტუალო სახლების მშენებლობა. სტატისტიკა ასეთია:



ქვემო ქართლში საინტერესოა, რომ 2010 წელს 1 სოფელში, 2011 წელს კი დაგეგმილია კიდევ ერთ სოფელში გარე განათების სამუშაოების განხორციელება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარე განათების პრობლემის მოგვარება ელექტროენერჯის სადისტრიბუციო კომპანიის ფუნქციაა და ამ შემთხვევაშიც სოფლის დახმარების პროგრამით, პრაქტიკულად, კერძო კომპანიის და არა სოფლის, არამედ – რეგიონის მიერ დასაფინანსებელი სამუშაოები დაფინანსდა.

## სამცხე-ჯავახეთი

სამცხე-ჯავახეთში, მიუხედავად იმისა, რომ მთავარი პრობლემა წყლის ხელმისაწვდომობაა, სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხების სიმცირის გამო პრიორიტეტებში პირველობა მაინც სარიტუალო სახლის მშენებლობამ და ჭურჭლისა თუ ინვენტარის შექმნამ დაიკავა. კერძოდ, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სტატისტიკა ასეთია:



ამასთან, ისევე, როგორც სხვა რეგიონებში, მონიტორინგმა აჩვენა, რომ სამუშაოების დიდი ნაწილი არ არის ბოლომდე დასრულებული.

## კახეთი

კახეთშიც სოფლის გზების რეაბილიტაცია და წყლის სამუშაოები არის პირველ სამეულში. ასევე აქტუალურია სოფლის სასაფლაოების შემოღობვის თემა.

კერძოდ:



აღსანიშნავია, რომ კახეთია ერთადერთი რეგიონი, მონიტორინგს დაქვემდებარებული რეგიონებიდან, სადაც სოფლის აბანოს მშენებლობა განხორციელდა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ამ სამუშაოსთვის დაახლოებით 40 000 ლარი გამოიყო და დაიხარჯა, ორი წლის მანძილზე სოფელ ველისციხეში მაინც ვერ მოხერხდა 4 კაბინიანი აბანოს დასრულება.

## იმერეთი

იმერეთის 10 სოფლის მონიტორინგმა შემდეგი პრიორიტეტები გამოკვეთა;



## **IV** სოფლის მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის მიერ განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში, სოფლის დახმარების პროგრამის ეფექტურობასა და მიზნობრიობასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიზნით ჩატარდა გამოკითხვა საქართველოს მასშტაბით 5 რეგიონში – ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, კახეთი, იმერეთი – სულ 50 სოფელში. თითოეულ სოფელში გამოიკითხა 25-30 რესპოდენტი. სულ გამოკითხულია 1400 რესპოდენტი.

გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი დასკვნები:

- ▶ გამოკითხვამ აჩვენა, რომ უმეტეს შემთხვევაში მოსახლეობას სოფლის დახმარების პროგრამის არსებობისა და სოფელში მისი მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია გააჩნია. თუმცა – ზოგადი.
- ▶ კერძოდ, გამოკითხულთა 74 პროცენტს პროგრამაზე ინფორმაცია აქვს. თუმცა აქედან 37-მა პროცენტმა განაცხადა, რომ პროგრამის შესახებ სმენია, თუმცა დეტალების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს. ეს გვაფიქრებინებს, რომ რეალური ჩართულობა პროგრამაში (ინფორმირებულობის დონეზე) სულ სოფლის მოსახლეობის 30-37 პროცენტია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონების მიხედვით ეს მონაცემი მერყეობს და ყველაზე მეტად ინფორმირებული მოსახლეობა სოფლის დახმარების პროგრამის შესახებ კახეთშია (გამოკითხულთა 52 პროცენტი ამბობს, რომ პროგრამაზე ინფორმაციას ფლობს). ყველაზე ნაკლებად კი სამცხე-ჯავახეთში (22 პროცენტი). (იხილეთ ქვემოთ გამოკითხვის დეტალური შედეგები).
- ▶ ჩართულობის მაჩვენებელს ამყარებს კითხვაზე – მიიღეთ თუ არა მონაწილეობა პროგრამის პრიორიტეტების განსაზღვრაში, მიღებული პასუხების სტატისტიკაც. კერძოდ: გამოკითხულთა 18 პროცენტი ამბობს, რომ უშუალოდ მიიღო მონაწილეობა, 11 პროცენტის თქმით კი მონაწილეობა მიიღო მისმა ოჯახის წევრმა. ანუ საუბარია სულ 29 პროცენტიან ჩართულობაზე. ასევე მნიშვნელოვანია, რომ გამოკითხულთა 48 პროცენტი ადასტურებს, რომ სოფელში ჩატარდა კრება პრიორიტეტების შესარჩევად. მიუხედავად იმისა, რომ მათ ნაწილს მონაწილეობა არ მიუღია ამ კრებაში.
- ▶ გამოკითხვამ დაადასტურა, რომ ძირითადი აქცენტი სოფლის დახმარების პროგრამაში ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამუშაოებზე გაკეთდა. კერძოდ, გამოკითხულთა აზრით, სამუშაოთა 85 პროცენტი სწორედ ამაზე იქნა მიმართული.

- ▶ ასევე გამოკითხვის შედეგებმა ცხადყო, რომ მიუხედავად იმისა, რომ პრიორიტეტების შერჩევაში მონაწილეობას გამოკითხული მოსახლეობის (ან ოჯახის წევრის სახით) სულ 29 პროცენტი ადასტურებს, გამოკითხულთა 44 პროცენტი სრულად, 38 პროცენტი კი – ნაწილობრივ ეთანხმება შერჩეულ პრიორიტეტებს. სრულად არ ეთანხმება პრიორიტეტებს მხოლოდ გამოკითხულთა 10 პროცენტი. 8 პროცენტს კი არ აქვს პასუხი ამ კითხვაზე.
- ▶ გამოკითხვის შედეგების თანახმად, პრიორიტეტების შერჩევაზე მეტად პრობლემურია თავად ამ პრიორიტეტების მიხედვით დასაფინანსებელი სამუშაოების შესრულება. როგორც გამოკითხვამ აჩვენა, სოფლის მოსახლეობის 82 პროცენტი, მიუხედავად პრიორიტეტების შერჩევის ფორმისა, სრულად ან ნაწილობრივ იზიარებს დასაფინანსებელი სამუშაოების პრიორიტეტულობას. თუმცა კითხვაზე – შესრულდა თუ არა სოფელში შერჩეული პრიორიტეტის მიხედვით დასაფინანსებელი სამუშაოები, 34 პროცენტი აცხადებს, რომ სამუშაო არ შესრულებულა, 44 პროცენტს კი ინფორმაცია არ აქვს ამაზე. შესაბამისად, მხოლოდ 22 პროცენტს მიაჩნია სამუშაო შესრულებულად. იგივე 22 პროცენტი ამბობს, რომ თანხები მიზნობრივად დაიხარჯა. რაც, შესაძლოა, ნიშნავდეს, რომ სწორედ გამოკითხულთა 22 პროცენტია უშუალოდ ჩართული პროგრამის განხორციელების პროცესში. მით უმეტეს, რომ სწორედ 22 პროცენტი ამბობს, რომ თანხების მაკონტროლებლად სოფლის მუნიციპალიტეტი უნდა იყოს, რაც დღევანდელი ვარიანტის ანალოგია.
- ▶ ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა 78 პროცენტი თვლის, რომ თანხები მიზნობრივად არ დახარჯულა და სამუშაო ბოლომდე არ შესრულდა, ან არ ფლობს ამაზე ინფორმაციას, სოფლის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა უჭერს მხარს პროგრამის გაგრძელებას. კერძოდ: კითხვაზე – უნდა გაგრძელდეს თუ არა პროგრამის განხორციელება, გამოკითხულთა 88 პროცენტი პასუხობს, რომ უნდა გაგრძელდეს. 10 პროცენტს უჭირს პასუხის გაცემა და მხოლოდ 2 პროცენტს მიაჩნია, რომ პროგრამა არ უნდა გაგრძელდეს.
- ▶ გამოკითხვამ აჩვენა ასევე ის, რომ სოფლებში საკმაოდ რთულია კონკრეტული პრიორიტეტული თემატიკის გამოკვეთა, რადგან კვლევის შედეგადაც არც ერთ ცალკე აღებულ პრიორიტეტს გამოკითხულთა 9 პროცენტზე მეტი ხმა არ მიუღია. ამის და სხვა, უფრო დეტალური შედეგების შესახებ შეგიძლიათ ქვემოთ იხილოთ:


**1. კითხვა – გაქვთ თუ არა ინფორმაცია სოფლის დახმარების პროგრამის მიმდინარეობის შესახებ თქვენს სოფელში?**

გამოკითხულთა

37 პროცენტმა დადებითი პასუხი გასცა ამ კითხვას;

37 პროცენტმა განაცხადა, რომ პროგრამის შესახებ გაუგია, თუმცა დეტალების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს.

26 პროცენტმა განაცხადა, რომ პროგრამის შესახებ ინფორმაცია არ აქვს.




**რეგიონების მიხედვით გამოკითხულთა პასუხები ასე გადანაწილდა:**


**ა) სამცხე ჯავახეთი**

25 პროცენტი – აქვს ინფორმაცია;

65 პროცენტს – გაუგია, თუმცა დეტალები არ იცის;

10 პროცენტი – არ აქვს ინფორმაცია;






**ბ) ქვემო ქართლი**

22 პროცენტი – აქვს ინფორმაცია;

23 პროცენტი – გაუგია, თუმცა დეტალები არ იცის;

55 პროცენტი – არ აქვს ინფორმაცია.




**გ) იმერეთი**

46 პროცენტი – აქვს ინფორმაცია;

36 პროცენტი – გაუგია, თუმცა დეტალები არ იცის;

18 პროცენტი – არ აქვს ინფორმაცია




**დ) კახეთი**

52 პროცენტი – აქვს ინფორმაცია;

42 პროცენტი – გაუგია, თუმცა დეტალები არ იცის;

6 პროცენტი – არ აქვს ინფორმაცია.



**ე) აჭარა**

33 პროცენტი – აქვს ინფორმაცია;

50 პროცენტი – აქვს ინფორმაცია, თუმცა დეტალები არ იცის;

17 პროცენტი – არ აქვს ინფორმაცია.


**2. კითხვა – მიიღეთ თუ არა მონაწილეობა სოფლის დახმარების პროგრამის პრიორიტეტების შესარჩევად გამართულ წინასწარ კონსულტაციებში?**

გამოითხულთა

18 პროცენტმა განაცხადა, რომ მიიღო მონაწილეობა ამ პროცესში უშუალოდ;

11 პროცენტის თქმით, მონაწილეობა მიიღო მისმა ოჯახის წევრმა;

71 პროცენტი კი აცხადებს, რომ მონაწილეობა არ მიუღია პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში.




**3. კითხვა – რა ფორმით მოხდა სოფლის დახმარების პროგრამის პრიორიტეტის შერჩევა თქვენს სოფელში?**

გამოკითხულთა

13 პროცენტის განცხადებით – მოხდა მოსახლეობის გამოკითხვა;

48 პროცენტი აცხადებს, რომ ჩატარდა სოფლის კრება;

39 პროცენტი კი ამბობს, რომ სხვა გზით მოხდა პრიორიტეტების შერჩევა.



**4. კითხვა – ეთანხმებით თუ არა თქვენს სოფელში სოფლის დახმარების პროგრამით დასაფინანსებლად შერჩეულ პრიორიტეტს?**


გამოკითხულთა

44 პროცენტი ეთანხმება პრიორიტეტებს;

38 პროცენტი – ნაწილობრივ ეთანხმება;

10 პროცენტი – არ ეთანხმება;

8 პროცენტს კი არ აქვს პასუხი ამ კითხვაზე.



**5. კითხვა – რომელ სფეროს განეკუთვნება თქვენს სოფელში სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული სამუშაო?**


გამოკითხულთა

55 პროცენტი ამბობს, რომ ჩატარდა ინფრასტრუქტურის აღდგენითი სამუშაოები;

30 პროცენტის თამით ჩატარებულია კეთილმონაცობის სამუშაოები;

4 პროცენტის აზრით განხორციელებული სამუშაო სოციალური დახმარების სფეროს განეკუთვნება.

11 პროცენტი კი ამბობს, რომ სამუშაოები სხვა სფეროებიდანაა.






**6. კითხვა – მიიღეთ თუ არა მონაწილეობა სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ სამუშაოებში?**

გამოკითხულთა

89 პროცენტი აცხადებს, რომ სამუშაოებში მონაწილეობა არ მიუღია;

9 პროცენტის თქმით, მიიღეს მონაწილეობა ფიზიკურად;

2 პროცენტის თქმით, მიიღო მონაწილეობა თანადაფინანსებით;



**7. კითხვა – სოფლის დახმარების პროგრამაში პრიორიტეტებისთვის განსაზღვრულ რომელ მოთხოვნებს შეესაბამება თქვენს სოფელში განხორციელებული სამუშაო?**

გამოკითხულთა


55 პროცენტის შეფასებით, განხორციელებული სამუშაოები მიმართულია საჯარო სარგებლობის ობიექტზე;

25 პროცენტის აზრით, ამ სამუშაოებს ექნება ხანგრძლივი ეფექტი;

5 პროცენტის თქმით, დასაქმებული იყო სოფლის მოსახლეობა ამ პროგრამაში;

8 პროცენტის აზრით ყველა ზემოთქმული მოთხოვნა დააკმაყოფილა;

7 პროცენტს კი მიაჩნია, რომ სამუშაოები საერთოდ არ აკმაყოფილებდნენ სოფლის დახმარების პროგრამის მოთხოვნებს.




**8. კითხვა – თქვენის აზრით, მიზნობრივად დაიხარჯა თუ არა სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი დაფინანსება?**

გამოკითხულთა

22 პროცენტი ამბობს, რომ თანხა მიზნობრივად დაიხარჯა;

11 პროცენტის აზრით თანხა არამიზნობრივად დაიხარჯა;

63 პროცენტმა კი ამ კითხვაზე პასუხად განაცხადა, რომ არ იცის, მიზნობრივად დაიხარჯა თუ არა თანხა.




**9. კითხვა – შესრულდა თუ არა სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოები?**

გამოკითხულთა

22 პროცენტს მიაჩნია, რომ სამუშაო შესრულებულია;

34 პროცენტი აცხადებს, რომ სამუშაო არ შესრულებულა;

44 პროცენტს კი არ აქვს ამ კითხვაზე პასუხი, აცხადებს რა, რომ არ იცის ამის შესახებ.



**10. კითხვა – რა რეკომანდებია გაქვეთ სოფლის დახმარების პროგრამის უფრო ეფექტურად განხორციელებისთვის?**


გამოკითხულთა

19 პროცენტს მიაჩნია, რომ უნდა შეიცვალოს პრიორიტეტების განსაზღვრის წესი;

14 პროცენტი აქვე თვლის, რომ უფრო მეტი კონკრეტიზაცია უნდა მოხდეს პრიორიტეტების განსაზღვრის წესში;

38 პროცენტის აზრით პროგრამისთვის გამოყოფილი თანხები არ არის საკმარისი სოფლის პრობლემების ეფექტური გადაჭრისთვის;

29 პროცენტი კი თვლის, რომ ჯობს პროგრამა რა ყოველწლიურად, არამედ – ორ წელიწადში ერთხელ განხორციელდეს და დაფინანსების თანხები გაიზარდოს;




**11. კითხვა – როგორ უნდა ხორციელდებოდეს კონტროლი სოფლის დახმარების პროგრამის შესრულებაზე სოფელში?**

გამოკითხულთა

22 პროცენტს მიაჩნია, რომ სამუშაოს კონტროლი უნდა განახორციელოს ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა;

37 პროცენტის აზრით უნდა შეიქმნას ადგილზე სათემო სამკაცციანი ჯგუფი, რომელიც გაუწევს კონტროლს თანხების სწორ ხარჯვას და სამუშაოების შესრულებას;

41 პროცენტი ითხოვს ანგარიშის წარმოდგენას სოფლის კრებისთვის.




**12. კითხვა – უნდა აგაგრძელდეს თუ არა სოფლის დახმარების პროგრამის განხორციელება?**

გამოკითხულთა

88 პროცენტი ამბობს, რომ უნდა გაგრძელდეს;

2 პროცენტის აზრით, არ უნდა გაგრძელდეს;

10 პროცენტს კი უჭირს პასუხის გაცემა.



**13. კითხვა – რას შეცვლიდით პროგრამის განხორციელებაში?**

გამოკითხულთა

5 პროცენტი დასაქმებაზე დახარჯავდა თანხებს;

4 პროცენტი არაფერს შეცვლიდა;

7 პროცენტი დაფინანსებას გაზრდიდა;

2 პროცენტი პრიორიტეტებს დააკონკრეტებდა თავიდანვე;

2 პროცენტი სოციალურ დახმარებას მოახმარდა;


7 პროცენტი გზების, ელექტროგაყვანილობისა და წყლის სამუშაოებს დააფინანსებდა;

7 პროცენტი გააძლიერებდა თანხებზე კონტროლს;

9 პროცენტი სოფლის მოსახლეობის ინფორმირებულობას გაზრდიდა ამ პროგრამის შესახებ;

2,5 პროცენტისთვის გაზიფიცირება იქნებოდა სოფლის დახმარების პროგრამის პრიორიტეტი;

2,5 კეთილმოწყობის სამუშაოების დაფინანსებისთვის დახარჯავდა ფულს;



## V დასკვნები და რეკომენდაციები

სოფლის დახმარების პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიზანი, როგორც ცნობილია, არის ადგილობრივ საჭიროებებზე ადეკვატურად რეაგირება და ადგილობრივი თვითმმართველობის უნარების განვითარება. აღსანიშნავია, რომ მსგავსი პროგრამა ნაწილობრივ მართლაც პასუხობს ამ მოთხოვნებს. სწორედ ამიტომ, გამოკითხვამაც და ადგილზე მონიტორინგმაც აჩვენა, რომ მოსახლეობა მხარს უჭერს პროგრამის განხორციელებას. თუმცა, მნიშვნელოვანი კორექტირების გარეშე, პროგრამა შესაძლოა, საბოლოოდ დაშორდეს თავის მიზანს, კერძოდ:

- ▶ ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ სოფლის მოსახლეობის ჩართულობა (ინფორმირებულობის დონეზეც კი) სოფლის დახმარების პროგრამაში საკმაოდ დაბალია. (მაქსიმუმ 35 პროცენტამდე). გადანყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის დონე კი საშუალოდ 21 პროცენტს არ აღემატება.
- ▶ ამ პრობლემის მოსაგვარებლად, აუცილებელია პროგრამის განმხორციელებელი სტრუქტურის (რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო) მიერ მეტი აქტივობის განხორციელება სოფლის მოსახლეობის ინფორმირებულობის კუთხით, რათა მოსახლეობამ იცოდეს საკუთარი უფლებების შესახებ.
- ▶ პროექტის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ ხარვეზებს შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი პრობლემაა არასწორი დაგეგმვა, რაც ხშირ შემთხვევაში ხდება სამუშაოების არასრულად შესრულების წინაპირობა. გარდა ამისა, ზოგ შემთხვევაში, პრიორიტეტად შერჩეულია ისეთი საკითხი, რომლის მოგვარებაც ცენტრალური ბიუჯეტის, ან საერთოდ – კერძო სტრუქტურის მოვალეობაა. ამიტომ, აუცილებელია სოფლის დახმარების პროგრამის ზოგადი პრიორიტეტების უფრო დეტალურად განწერა და ახსნა, რათა იგი მეტად გასაგები იყოს სოფლის მოსახლეობისთვის. გარდა ამისა, აუცილებელია განისაზღვროს პასუხისმგებლობები – მათ შორის არასწორ დაგეგმვაზეც, რათა გამგეობამ, რომელიც ორგანიზებას უწევს ამ პროექტის განხორციელებას, მეტი პასუხისმგებლობა გამოიჩინოს პრიორიტეტების განსაზღვრისას.
- ▶ მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა, რომ სოფლის მოსახლეობას პრაქტიკულად არ გააჩნია სოფლის დახმარების პროგრამის თანხების ხარჯვაზე მონიტორინგის განხორციელების პრაქტიკა და საშუალება. სოფლის მოსახლეობას ხშირად არც ის ინფორმაცია აქვს, თუ რომელი სამუშაო რა პროექტით განხორციელდა. ამიტომ აუცი-

ლებელია დაზუსტდეს მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც სოფლის მოსახლეობა მოახდენს ამ პროცესის კონტროლს. ეს შესაძლოა იყოს სამკაცრიანი საინიციატივო ჯგუფის ჩამოყალიბება სოფლის კრების მიერ, ან – ისევე სოფლის კრებისთვის სოფლის დახმარების პროგრამის ანგარიშის ჩაბარება.

- ▶ აქ თავს იჩენს კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც სოფლის კრების ჩატარებას ეხება. სოფლის დახმარების პროგრამაში რამდენიმე მეთოდია პრიორიტეტების შერჩევითვის განსაზღვრული. მათ შორის – სოფლის მაცხოვრებელთა გამოკითხვა და/ან სოფლის კრება. პრაქტიკა აჩვენებს, რომ გამოკითხვა, პრაქტიკულად არ ტარდება და ეს კრების ჩატარებლობის გასამართლებლად უფრო გამოიყენება ხოლმე. ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია დაზუსტება როგორც პრიორიტეტების შერჩევითვის მეთოდის, ასევე – კრებაში მონაწილეთა იმ რაოდენობის, რომელიც უფლებამოსილია პრიორიტეტების განსაზღვრისთვის.
- ▶ ზოგადად, მსგავსი პროგრამების ეფექტურად განხორციელებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისთვის აუცილებელია ადგილებზე სათემო ინიციატივების ხელშეწყობა და სათემო ლიდერებისთვის საჯარო ფინანსების კონტროლის უნარების მიწოდება. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი როლი ეკისრება არასამთავრობო სექტორისა და დონორების აქტიურობას. რადგან სათემო ლიდერების ინსტიტუტის განვითარება და ფინანსების კონტროლის ეფექტური მექანიზმების დამკვიდრება ბევრ იმ პრობლემას მოხსნიდა, რაც დღევანდელ ანგარიშშია მოყვანილი.



